„მთავარში ერთობა, სადაოში - თავისუფლება, მაგრამ ყველაფერში სიყვარული!“

თავისუფლების სახლი

ტელეკომპანია „ქართული“

ვიფიქროთ მომავლის საქართველოზე

მეგობართა დარბაზი

ქვეყანა სიკეთეზე და კეთილ ადამიანებზე დგას. ამ დიდ საქმეს არაერთი გამოუჩნდება, ვინც მილიონით შეეწევა. ბევრი ათასსაც შესწირავს, იქნებიან ათიათასობით, ასიათასობით და კეთილი გულით ერთი ლარის შემომწირველნიც.

დალხინებული არავინ ვართ, მაგრამ წესდებით განსაზღვრულ 200 ლარს უამრავი ადამიანი შემ–ოსწირავს და გახდება ტელევიზიის „მეგობართა დარბაზის“ სრულუფლებიანი წევრი.

მადლობა მათ.

გ ა ვ ე რ თ ი ა ნ დ ე თ
ე რ ო ვ ნ უ ლ ი ი დ ე ი თ
მომავლის საქართველოსათვის!
გვფარავდეს ღმერთი!

მშვიდობის მსოფლიო ელჩი

ჩვენ ვიწყებთ "თავისუფლების სახლისა" და ტელევიზია "ქართულის" "მეგობართა დარბაზის" შექმნის პროცესს...

შემოგვიერთდით

"მეგობართა დარბაზის" კონგრესი გაიმართება 2014 წლის 8 თებერვალს - დავით აღმაშენებლის დღეს, დედა-უნივერსიტეტის დაფუძნების დღეს.

საინიციატივო ჯგუფის სახელით

რეზო ჩხეიძე, ზურაბ წერეთელი,
ნონა გაფრინდაშვილი, რეზო ესაძე,
ანზორ ერქომაიშვილი, თემურ გუგუშვილი,
გოგი ლევაშოვ-თუმანიშვილი,
ომარ მხეიძე, გია ბურჯანაძე,
არნოლდ გეგეჭკორი, თათუზა ყურაშვილი,
თემურ მამაცაშვილი, რომან რურუა,
რეზო ძოძუაშვილი, მანუჩარ მაჩაიძე.

ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო

ჩემი მეგობრული სიტყვა

ქართველ მამულიშვილს, საქართველოს მოქალაქეს, საქართველოს მეგობარს

ჩემო ღრმადპატივცემულო ქალბატონო და ბატონო

დიდად ვაფასებ თითოეული ქართველის, საქართველოს მოქალაქის, ქვეყნის მეგობრის ღვაწლსა და დამსახურებას ქართული სახელმწიფოს წინაშე, კეთილგანწყობას მოაზროვნე ადამიანებისადმი. ამ ნაზრევსაც თქვენდამი კეთილგანწყობის დასტურად მეგობართა ფართო წრის დავალებით გიგზავნით.

ეს არის ჩემი და ამ წამოწყების სათავეებთან მდგომი საქვეყნოდ ცნობილი პიროვნებების მამა-შვილური მიმართვა მამულიშვილებისადმი.

მე ასეთი ვრცელი და ვიტყოდი, განსაკუთრებული, წერილით მივმართავ საქართველოს მომავალზე დაფიქრებულთ ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ,... საქართველოს, ქართველი ხალხის ნამდვილ მეგობრებს.

დაიწყო დიდი საქმე: შეიქმნა ქართული განწყობის ტელეკომპანია „ქართული“ და ასეთივე განწყობის „თავისუფლების სახლი“.

მაქვს პატივი, განსახილველად წარმოგიდგინოთ მისი კონცეფცია, რომელიც თან ერთვის. იგი დიდი ხნის მუშაობის შედეგია. პირველ რიგში ამ საქმის მცოდნე ადამიანების. მასში არის აკადემიკოსის და სტუდენტის პოზიციაც..., კულტურისა და განათლების, მედიცინისა და სპორტის მოღვაწის, პოლიტიკოსის, ბიზნესმენისა და ფერმერის, დიასახლისის და საერთოდ მუშა კაცის განწყობაც, იმ ადამიანის განწყობაც, რომელიც დღეს უმუშევარია და სავსეა საქმის კეთების სურვილით..., აზრი ვკითხეთ ჩოხოსანსაც და ჰარვარდელსაც.

ჩემთვის, დარწმუნებული ვარ თქვენთვისაც, ბევრზე ბევრს ნიშნავს, რომ ამ საკითხზე თავისი რჩევები მოგვცეს საქვეყნოდ ცნობილმა ადამიანებმა - ბატონმა მერაბ ბერძენიშვილმა, ქალბატონმა ნონა გაფრინდაშვილმა, ბატონმა რეზო ესაძემ, ბატონმა ანზორ ერქომაიშვილმა, ბატონმა ვაჟა აზარაშვილმა, ბატონმა თემურ გუგუშვილმა, ბატონმა ომარ მხეიძემ, აკადემიკოსებმა ავთანდილ საყვარელიძემ, არნოლდ გეგეჭკორმა, ელიზბარ ჯაველიძემ, აპოლონ სილაგაძემ. სასიქადულო სპორტსმენებმა რომან რურუამ, რეზო ძოძუაშვილმა, მანუჩარ მაჩაიძემ.

კარგი და სწორი იყო გადაწყვეტილება, რომ ტელევიზიამ თავისი პირველი პირდაპირი მაუწყებლობა სვეტიცხოვლობით დაიწყო. მე ამის თაობაზე საგანგებო წერილი გავუგზავნე პატრიარქს და სწორედ მან დალოცა სვეტიცხოვლის საკურთხეველში ტელეკომპანია „ქართული“, - ეს ჩვენი დიდი ეროვნული წამოწყება.

ეს იქნება ტელევიზია, რომლის მეშვეობითაც ჩვენი მოსახლეობა, საქართველოს გარეთ მცხოვრები ჩვენი მოქალაქეები და მეგობრები, გაცილებით მეტად მოუსმენენ ხალხს, მეცნიერებს, მოღვაწეებს, მოაზროვნე ადამიანებს, ვიდრე პოლიტიკოსებსა და ე.წ. ექსპერტებს...

სასიამოვნო იყო ამ საქმეში თანამშრომლობა ცნობილ დიპლომატებთან პეტრე ჩხეიძესთან და თემურ მამაცაშვილთან, საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტ, დეპუტატ დემურ ბაშელეიშვილთან.

ამაყი ვარ იმ შეხვედრით, რომელიც ამ დღეებში მქონდა მსოფლიოში ცნობილ ქართველ ხელოვანთან ბატონ ზურაბ წერეთელთან. მან სრული მხარდაჭერა გამოხატა და დარბაზის საქმიანობაში პრაქტიკული მონაწილეობის დიდი სურვილიც.

ჩემთვის ბევრზე ბევრის მთქმელი იყო შეხვედრა ჩემს ოს მეგობარ ფელიქს სანაკოევთან და მის ვაჟთან, ბატონ სერგოსთან, რომელსაც უაღრესად დიდი კონტაქტები აქვს ჩინეთის სამეცნიერო წრეებთან. მოხარული ვარ, რომ ისინი ტელევიზიის „მეგობართა დარბაზის“ წევრები იქნებიან.

ჩვენ ძალიან ვაფასებთ იმ მხარდაჭერას, რომელიც ჩვენმა აფხაზმა მეგობარმა კონსტანტინე სალიამ და მისმა ოჯახმა გამოიჩინეს გერმანიაში - მთელი ოჯახი ტელევიზიის „მეგობართა დარბაზის“ წევრი გახდა.

დიდი მადლობა მოსკოვის ქართული სკოლის დირექტორს, ქალბატონ ანა კერესელიძეს, პედაგოგიურ კოლექტივთან და სკოლაში მოწვეულ ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან შეხვედრისათვის. ეს იყო დიდი ქართული შეხვედრა, ამ დიდ წამოწყებაში ძალის მომცემი.

მიუხედავად მოკლე დროისა, ჩვენ უკვე დიდი მხარდაჭერა მივიღეთ გერმანიაში, საფრანგეთში, ამერიკაში,

დიდ ბრიტანეთში, ესპანეთში, იტალიაში, საბერძნეთში, თურქეთში, ფინეთში, კანადაში, შვედეთში, ჰოლანდიაში, დანიაში, ავსტრიაში, შვეიცარიაში, პორტუგალიაში და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების ქართული დიასპორის წარმომადგენლებში.

ბატონო ჩემო,

ამ დოკუმენტის თქვენთვის წარმოდგენა დათათბირების გაგრძელებაა. აშკარაა, რომ მდგომარეობა ქვეყანაში იმაზე უარესია, ვიდრე გვგონია და ასეთ დროს ეროვნული, სახელმწიფოებრივი განწყობის საქმის დაწყებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მომავლის საქართველოსათვის.

ეჭვი არ მეპარება, რომ ჩვენი შეფასებები თანხვედრილია ერთ პრინციპულ საკითხში: **დღეს რაც არ გვაკლია საქართველოში, პირდაპირ ვიტყვი, დამანგრეველად ბევრია - ეს არის ქვეყნის გარე ძალთა მსახური პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები, პოლიტიკოსები, საინფორმაციო საშუალებები...**

რაც არნახულად გვაკლია - ეს არის ქართული განწყობის, სახელმწიფოებრივი აზროვნების საზოგადოებრივი ორგანიზაციები, პოლიტიკური პარტიები, საინფორმაციო საშუალებები. პირველთ არნახულად აფინანსებენ გარედან, მეორენი კი, რომელნიც სასიცოცხლო არიან საქართველოსათვის, სულს ღაფავენ.

დამაფიქრებელია.

როგორც დიდი ფილოსოფოსი ამბობს, ფიქრი ამოძრავებული მომავალია. ჩვენ მომავლით უნდა ვიცხოვროთ. ეს კი მოქმედებას ნიშნავს. ჩვენი საინიციატივო ჯგუფი სწორედ დაფიქრებულ მოქმედებაზე ორიენტირებული ერთობაა, რომელსაც ქვეყანაზე მოფიქრალი ყოველი ადამიანის რეალური თანადგომის იმედი აქვს. ჩვენ შეიძლება ბევრ რამეზე განსხვავებული მოსაზრებები გვქონდეს, მაგრამ საქართველოსათვის სიყვარულით ერთობა რომ გვჭირდება, ვფიქრობ, ეს არავისთვის საკამათო არ არის. სწორედ ამიტომ გამოვიტანეთ ჩვენი ერთობის მთავარ პრინციპად საუკუნეების სიღრმიდან მომავალი სიბრძნე:

„მთავარში - ერთობა, სადაოში - თავისუფლება, ყველაფერში - სიყვარული!“

მართლაც, ბიბლიური სიბრძნეა.

მოქმედება კი დაწყებულია.

მეცნიერთა დიდი ჯგუფის კონკრეტულ ქმედებათა შედეგად დღეს რეალურად არსებობს ტელეკომპანია „ქართული“ საერთო მაუწყებლობის ათწლიანი ლიცენზიით, სატელიტური მაუწყებლობით სრულიად ევროპაზე, უფრო ზუსტად, პორტუგალიიდან - ურალამდე. სწორედ იმ პაკეტში, სადაც საქართველოს მხოლოდ რვა ტელევიზიაა (პირველი არხი, რუსთავი - 2, იმედი, მაესტრო, აჭარის ტელევიზია, 25-ე არხი, ტვ-3, ტელეკომპანია „ქართული“), ინტერნეტ და ფართო საკაბელო მაუწყებლობით. მიმდინარეობს მუშაობა, რათა მაუწყებლობა გავრცელდეს მთელს მსოფლიოზე. ამას ჩვენთვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რადგან, ერთის მხრივ ნიჭმა და მეორეს მხრივ, გაჭირვებამ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში აღმოაჩინა ქართველი და საქართველოს მოქალაქე. მათი რიცხვი უკვე მილიონნახევარს აჭარბებს. პრინციპული მნიშვნელობა აქვს მათთან დიალოგის შენარჩუნებას, მათ ინფორმირებას საქართველოში მიმდინარე პროცესებზე. სწორად ითქვა მოსკოვის ქართულ სკოლაში შეხვედრაზე, რომ ტელეკომპანია „ქართული“ - ეს პრაქტიკულად უნდა იყოს საქართველოს დიასპორის ტელევიზია.

დღეს რაც არ გვაკლია საქართველოში, პირდაპირ ვიტყვი, დამანგრეველად ბევრია, - ეს არის ქვეყნის გარე ძალთა მსახური პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები, პოლიტიკოსები, საინფორმაციო საშუალებები...
რაც არნახულად გვაკლია, - ეს არის ქართული განწყობის, სახელმწიფოებრივი აზროვნების საზოგადოებრივი ორგანიზაციები, პოლიტიკური პარტიები, საინფორმაციო საშუალებები. პირველთ არნახულად აფინანსებენ გარედან, მეორენი კი, რომელნიც სასიცოცხლო არიან საქართველოსათვის, სულს ღაფავენ. დამაფიქრებელია.

საყურადღებოა, რომ „თავისუფლების სახლი“, ტელევიზია „ქართული“ განთავსებულია იმ უნიკალურ სახლხსა და ეზო-გარემოში, სადაც გერმანელებმა გასული საუკუნის დასაწყისში შექმნეს პირველი ქართული რადიო - ეს იყო კავკასიაში პირველი რადიო. სასიამოვნოა, რომ ეს სახლი შენარჩუნებულია ზუსტად ისე, როგორც ეს ერთ საუკუნეზე მეტი ხნის წინ ააშენეს გერმანელებმა.

პრაქტიკულად, ეს იქნება „თავისუფლების სახლი“

და ტელევიზია, ძირითადში, ორიენტირებული კულტურაზე ამ ცნების ფართო გაგებით: დაწყებული ყოფითი და პოლიტიკურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა კულტურით, დამთავრებული საქართველოში მცხოვრები ყველა სოციალური ფენისა და ეთნოსის ურთიერთობის კულტურით; ისტორიით, ტრადიციებით, რელიგიით, მეცნიერებით, განათლებით, მედიცინით, სპორტით..

ეს იქნება ინოვაციურ აზროვნებაზე ორიენტირებული ტელევიზია და „თავისუფლების სახლი“, რომლის ერთი მაგალითიც გახლავთ მასთან ჰარვარდის კურსდამთავრებულთა მოძრაობის შექმნა და მეორე - ამერიკელ მეცნიერთა დიდი ჯგუფის მიერ დაწყებული და უკრაინელ მეცნიერთა მიერ მხარდაჭერილი „რეპუტაციის ინსტიტუტის“ შექმნა - დღეს დამკვიდრებული იაფფასიანი იმიჯის ინსტიტუტის სანაცვლოდ.

ეს იქნება ტელევიზია, რომლის მეშვეობითაც ჩვენი მოსახლეობა, საქართველოს გარეთ მცხოვრები ჩვენი მოქალაქეები და მეგობრები, გაცილებით მეტად მოუსმენენ ხალხს, მეცნიერებს, მოღვაწეებს, მოაზროვნე ადამიანებს, ვიდრე პოლიტიკოსებსა და ე.წ. ექსპერტებს... გაცილებით მეტს გაიგებენ რეალურ ყოფასა და ცხოვრებაზე ქვეყანაში... გაცილებით მეტად გაიცნობენ რეალურ ამერიკას, რეალურ ევროპას, ვიდრე ამას სახელმწიფო მოხელეები და პოლიტიკოსები აკეთებდნენ აქამდე: ერთნი აფეტიშებდნენ, მეორენი უარყოფდნენ. რეალური სულ სხვაა და ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანი.

დავიწყეთ დიდი ეროვნულ საქმე, თავშივე შევთანხმდით, რომ როგორც მართვის მექანიზმი, ასევე საფინანსო სისტემა იქნება გამჭვირვალე და დემოკრატიული. სწორედ ამ მიზნებისათვის იქმნება „მეგობართა დარბაზი“ .

ჩვენ ვქმნით ეროვნული და აქედან გამომდინარე, სახელმწიფოებრივი აზროვნების ტელევიზიას ქართველ მამულიშვილთა მონაწილეობითა და დაფინანსებით. ... ტელევიზია, რომლის უკანაც არ იქნებიან კონკრეტული პიროვნებები და პოლიტიკური ძალები, ვიქნებით ყველანი ერთად - მეგობართა დარბაზის სახით.

პრინციპული ხაზგასმა: ჩვენ, საინიციატივო ჯგუფში არ ვიცით და

ჩემი ასაკის გამო, ცხოვრებამ ბევრი რამ მაჩვენა და ბევრიც მასწავლა. ქვეყანა სიკეთეზე და კეთილ ადამიანებზე დგას. ამ დიდ საქმეს არაერთი გამოუჩნდება, ვინც მილიონით შეეწევა. ბევრი ათასსაც შესწირავს, იქნებიან ათიათასობით, ასიათასობით და კეთილი გულით ერთი ლარის შემომწირველნიც. დალხინებული არავინ ვართ, მაგრამ წესდებით განსაზღვრულ 200 ლარს უამრავი ადამიანი შემოსწირავს და გახდება ტელევიზიის „მეგობართა დარბაზის“ სრულუფლებიანი წევრი.

არ გვესმის, რას ნიშნავს ოპოზიციური ტელევიზია. ისევე, როგორც არ ვიცით და არ გვესმის, რას ნიშნავს სახელმწიფო ტელევიზია. არადა, დღეს საქართველოში ძირითადად ტელევიზიები პირდაპირ თუ შეფარულად ან ოპოზიციას, ან ხელისუფლებას ემსახურებიან. ჩვენ ვიცით და ვცნობთ მხოლოდ ერთ ტელევიზიას - მართალ ტელევიზიას. დღეს საქართველოს ჰაერივით სჭირდება სწორედ მიუკერძოებელი და მართალი სიტყვა. ეჭვი არ მეპარება, რომ ჩვენ ამ განწყობაშიც ერთნი ვართ.

არ ვთვლი საჭიროდ, ვრცლად ვისაუბრო „მეგობართა დარბაზის“ თაობაზე, რადგან ეს კონცეფციაში კარგადაა წარმოდგენილი. ვიტყვი მხოლოდ ერთს, იქმნება ქართული, სახელმწიფოებრივი განწყობის დარბაზი, მეგობრობა კი ჩვენში ოდითგან უღალატობას, თანაგრძნობასა და თანადგომას ნიშნავდა. სწორედ ეს სჭირდება დღეს ჩვენს ქვეყანას, ჩვენს მამულს, ჩვენს მომავალს.

ყველას შეუძლია მოძებნოს და დაიმკვიდროს თავისი ადგილი ამ დიდ მოძრაობაში. ვის მეტი შეუძლია, ვის ნაკლები, მაგრამ ერთობა შეუძლებელს შეგვაძლებინებს.

დიდი მიზნები გვაქვს. ერთობის პირობებში რეალურზე რეალური.

ჩემი ასაკის გამო, ცხოვრებამ ბევრი რამ მაჩვენა და ბევრიც მასწავლა. ქვეყანა სიკეთეზე და კეთილ ადამიანებზე დგას. ამ დიდ საქმეს არაერთი გამოუჩნდება, ვინც მილიონით შეეწევა. ბევრი ათასსაც შესწირავს, იქნებიან ათიათასობით, ასიათასობით და კეთილი გულით ერთი ლარის შემომწირველნიც. დალხინებული არავინ ვართ, მაგრამ წესდებით განსაზღვრულ 200 ლარს უამრავი ადამიანი შემოწირავს და გახდება ტელევიზიის „მეგობართა დარბაზის“ სრულუფლებიანი წევრი. ეს პროცესი დაწყებულია. მე უკვე შევეწიე ამ დიდ საქმეს.

ჩვენ გვაქვს და მომავალშიც გვექნება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია მეორის დიდი მხარდაჭერა. კარგი და სწორი იყო გადაწყვეტილება, რომ ტელევიზიამ თავისი პირველი პირდაპირი მაუწყებლობა სვეტიცხოვლობით დაიწყო. მე ამის თაობაზე საგანგებო წერილი გავუგზავნე პატრიარქს და სწორედ მან დალოცა სვეტიცხოვლის

საკურთხეველში ტელეკომპანია „ქართული“, - ეს ჩვენი დიდი ეროვნული წამოწყება.

ვიცი, რომ ერთი საუკუნის წინ პირველი ქართული რადიოს შენობაში ტელეკომპანია „ქართულის“ დაფუძნებას დიდ სიხარულით შეხვდა გერმანიის ელჩი საქართველოში. ვფიქრობ, ჩვენ დიპლომატიური კორპუსის და უცხოეთის მისიების დიდი მხარდაჭერაც გვექნება.

არ ვეჭვობ, რომ ჩვენ შევძლებთ საქმიან ურთიერთობებს საქართველოს ხელისუფლებასთან - პრეზიდენტთან, მთავრობის მეთაურთან, მთავრობასთან საერთოდ, პარლამენტთან და სასამართლოსთან, პოლიტიკურ პარტიებთან.

ჩვენ გვაქვს სურვილი განსაკუთრებული ურთიერთობები გვქონდეს საქართეველოს მეცნიერებათა აკადემიასთან, გელათის მეცნიერებათა აკადემიასთან, აკადემიებთან საერთოდ, შემოქმედებით კავშირებთან, დედა - უნივერსიტეტთან და უმაღლეს სასწავლებლებთან. მეგობრული ურთიერთობები გვექნება მედიის საშუალებებთან.

მინდა ვიფიქრო, რომ ამ დროისათვის სამოქალაქო სექტორში გადასული ბატონი ბიძინა ივანიშვილიც ჩვენთან ერთად იქნება. ამის თქმის უფლებას მაძლევს არა მარტო ის, რომ მას პირადად ჩემდამი კეთილი განწყობა აქვს; არა მარტო ის, რომ ჩვენ მეგობრები ვართ; არა მარტო ის, რომ ის გამოეხმაურა ჩემს წერილს დამოუკიდებელი ტელევიზიის შექმნის თაობაზე; არამედ, და ეს განსაკუთრებულია, იმის გამო, რომ რასაც ჩვენ ვქმნით. ეს არის ის, რაზეც ბატონი ბიძინა ოცნებობს და რის გამოც დატოვა პრემიერ-მინისტრის პოსტი და გახდა ინიციატორი ხელისუფლებაზე ხალხის კონტროლის დიდი საზოგადოებრივი მოძრაობისა.

ჩვენი მიზანიც ეს არის. სწორედ ეს ჩავწერეთ 2006 წლის 13 ივნისის დეკლარაციაში, რომელსაც „შერატონ მეტეხი პალასში“ მეცნიერების, კულტურის, განათლების, მედიცინის, სპორტის 1000-ზე მეტმა მოღვაწემ და ყველა პოლიტიკურმა ძალამ მოაწერა ხელი, გარდა „ნაციონალური მოძრაობისა“ .

> **ჩვენ ვთქვით: “ჩვენ დავნერგავთ პრინციპს: ქვეყანას მართავს დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლება, ხელისუფლებას მართავს საზოგადოება, საზოგადოებას მართავს ინტელექტი და ზნეობა.“**

მაშინ ჩვენ ვთქვით: “ჩვენ დავნერგავთ პრინციპს: ქვეყანას მართავს დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლება, ხელისუფლებას მართავს საზოგადოება, საზოგადოებას მართავს ინტელექტი და ზნეობა.“

ძნელი გახდა ამის გაკეთება. მიზეზებზე აღარ ვსაუბრობ - თქვენ ყველამ იცით. 2012 წლის 1 ოქტომბერმა გახადა რეალური ბრძოლა ამ პრინციპის დანერგვისათვის.

ჩვენ ვერთიანდებით და ვიწყებთ დიდ მოძრაობას საქართველოში ადამიანური ცხოვრებისათვის. დღემდე ქართული ყოფისათვის შემარცხვენელი და დამთრგუნველი - ბრძოლა არსებობისათვის უნდა დასრულდეს და ყოველ ადამიანს მიეცეს საშუალება საკუთარი თავის, საკუთარი ნიჭის რეალიზაციის. ეს დიდი საქართველო იქნება. ღირს ბრძოლა და თავგანწირვა ამისათვის.

დარწმუნებული ვარ, საფუძვლიანად გაეცნობით ტელეკომპანია „ქართულისა“ და „თავისუფლების სახლის“ კონცეფციას (წერილთან ერთად გაახლებთ), მოგვაწვდით თქვენს შენიშვნებსა და მოსაზრებებს, მიიღებთ გადაწყვეტილებას „მეგობართა დარბაზში“ გაერთიანების და მასთან თანამშრომლობის თაობაზე.

ჩვენ მზადა ვართ, გიმასპინძლოთ ტელეკომპანია „ქართულში“, „მეგობართა დარბაზში“ თქვენთვის სასურველ დროს.

საინიციატივო ჯგუფის გადაწყვეტილებით „მეგობართა დარბაზი“ დაფუძნდა 8 დეკემბერს. დიდი მადლობა ჩემს მეგობრებს, რომ ეს კარგი ქართული მოვლენა ჩემი დაბადების დღეს დაამთხვიეს.

დეკემბერში გაცხადდება დიდი ქართული პროექტი, რომლის სახელწოდება გრიგოლ რობაქიძისაგან ავიღეთ. „საქართველო დაჭრილი მზეა“. ეს იქნება ცნობილი ქართველი მოღვაწეების მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი, ქართული დიასპორებისადმი, საქართველოს ნამდვილი მეგბრებიადმი, საქართველოს ხელისუფლებისადმი.

ვისურვებდი, რომ ვიყოთ ერთად და ერთად ვიფიქროთ მომავლის საქართველოზე - გაბრწყინებულ საქართველოზე. რწმენით, იმედით, თქვენთან თანამშრომლობის დიდი განწყობით,

რეზო ჩხეიძე

კინორეჟისორი, მშვიდობის მსოფლიო ელჩი.

თბილისი,

8.12.2013 წ.

„თავისუფლების სახლი“ – ტელეკომპანია „ქართული“ ზოგიერთი მოსაზრება კონცეფციასთან დაკავშირებით

ვაანალიზებთ რა ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობას, იმ რესურსებს, რომელიც ქვეყანას ისტორიულად გააჩნია, როგორც ინტელექტუალური, ბუნებრივი, თუ გეოგრაფიული თვალსაზრისით და ვფიქრობთ რა ქვეყნის დემოკრატიულ მომავალზე - რეალურად ვხედავთ ორ უდიდეს პრობლემას, რომელთა გადაწყვეტის გარეშე ქვეყანას არ აქვს დიდი მომავალი.

პირველი პრობლემა ძირითადში ქვეყნის გარეთაა და მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ ვერ შევძელით გარე სამყაროს, უპირველესად დემოკრატიულ მსოფლიოს რეალურად ვაჩვენოთ ქართული სახელმწიფოებრიობის დიდი ისტორია, მისი დემოკრატიული ბუნება. ამის შედეგია ერთის მხრივ ის, რომ დემოკრატიულმა მსოფლიომ არათუ არ იცის ჩვენი ქვეყნის ისტორია და დამსახურება მსოფლიო ცივილიზაციაში, ხალხის დემოკრატიული ბუნება, არამედ გვიყურებენ, როგორც განვითარებად ქვეყანას - და ამიტომ გვექცევიან, როგორც ნეოკოლონიალურ სახელმწიფოს. და, მეორეს მხრივ ის, რომ უკვე საუკუნეებია, რეალურ კოლონიალისტებს აღვიქვამთ მეგობრებად.

„თავისუფლების სახლი“ –ტელევიზია „ქართული“, ეს არის ბრძოლა საქართველოში მაღალი ზნეობის, ქართული ცნობიერებისა და ნიჭის ძალაუფლებისათვის.

მეორე პრობლემა ქვეყნის შიგნითაა და მდგომარეობს იმის გაუცნობიერებლობაში, **რომ საქართველოს** დემოკრატიული მომავალი - ეს არის თავისუფალი ადამიანი... ყოველ ადამიანს ღვთისაგან ბოძებული ბუნებითი უფლებები: სიცოცხლის უფლება, სიტყვის უფლება, საკუთრების უფლება და უკეთესი ცხოვრებისაკენ მისწრაფების უფლება... ამის გარანტი ხელისუფლება უნდა იყოს. ეს მისი კონსტიტუციური მოვალეობაა. ხელისუფლება უნდა იყოს იმის გარანტი, რომ სიცოცხლის უფლებიდან გამომდინარე, შეუქცევადად უზრუნველყოს ადამიანისათვის **საარსებო მინიმუმი, ჯანმრთელობის დაცვა და განათლების მიღება. უმნიშვნელოვანესია, ყოველი ადამიანი აცნობიერებდეს ბიბლიურ შეგონებას „თავისუფლებისათვის გაგანთავისუფლათ ღმერთმა და ნუ იქნებით ადამიანთა მონები“... სამწუხაროდ დღემდე არც** ხელისუფლება აცნობიერებს თავის კონსტიტუციურ მოვალეობას და ჩვენც, ადამიანებსაც გვიჭირს ღვთით ბოძებული ადამიანური უფლებების დაცვა. ამის შედეგია ის, რომ საქართველო აგრძელებს ბელადომანიით განწყობით ცხოვრებას.

დამანგრეველია ურაპატრიოტიზმიც და კოსმოპოლიტიზმიც. საქართველოსათვის ქართული ცნობიერება და ქართული ტოლერანტობა ნიშნავს პლანეტარულ აზროვნებას.

რეალური კოლონიზატორი მეგობრის როლში და მოჩვენებითი ბელადი - მხსნელის, ეს არის ქვეყნის ორი დიდი პრობლემა: ბრძოლა საკუთარი ისტორიის, სახელმწიფოებრიობის, ქართული ცნობიერების და ზოგადსაკაცობრიო დემოკრატიულ ღირებულებათა წინააღმდეგ.

ჩვენ ვდასტურებთ, რომ საქართველო, მისი ადამიანური, გეოგრაფიული და ბუნებრივი რესურსებიდან გამომდინარე, არის დიდი პოტენციალის ქვეყანა და მისი მოქმედებაში მოყვანა შეუძლია მხოლოდ და მხოლოდ ერთ ძალაუფლებას - „ნიჭის ძალაუფლებას“. საქართველოში ასეთი ძალაუფლების დამყარების უპირველესი საყრდენი და საფუძველი არის ქართული სახელმწიფოსა და ხალხის დემოკრატიული ბუნება, ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალი, რომელიც იმაზე მეტად გამოუყენებელია დამოუკიდებელ საქართველოში, ვიდრე საბჭოთა პერიოდში.

„თავისუფლების სახლი“ –ტელევიზია „ქართული“, ეს არის ბრძოლა საქართველოში მაღალი ზნეობის, ქართული ცნობიერებისა და ნიჭის ძალ აუფლებისათვის.

ჩვენთვის, „თავისუფლების სახლი“ - ეს არის იგივე დემოკრატიის ცენტრი, იგივე მომავლის სახლი, იგივე ინტელექტუალური ცენტრი.

ჩვენ სწორად უნდა გავიაზროთ წარსული, რომ დავინახოთ დიდი ქართული მომავალი და ვიმოძრაოთ მისკენ ქართული ცნობიერებით. ჩვენ უნდა შევძლოთ კარგად გავიაზროთ გლობალიზაცია, როგორც ობიექტური მოვლენა და პროცესი და შევძლოთ ეროვნულის და ეროვნულობის შენარჩუნება; ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ ეს შეძლოს საქართველოში მცხოვრებმა ყველა ეთნიკურმა ჯგუფმა.

ჩვენ ვართ დიდი წარსულის, მძიმე დღეგანდელობის, მაგრამ გაცილებით დიდი მომავლის ქვეყანა.

დღეს მთელი მსოფლიოს პროგრესული თავები ფიქრობენ იმაზე, როგორ შეაერთონ ერთმანეთთან კაპიტალიზმის საუკეთესო მონაპოვარი - კონკურენცია და ევროპული სოციალიზმის მთავარი მონაპოვარი - „დაცული ადამიანი“. ამ მიზანს დიდი თეორიაც - „კონვერგენციის თეორიაც“ ემსახურება. ჩვენს მეფეს დავით აღმაშენებელს ეს პრინციპი ათი საუკუნის წინ ჰქონდა დაცული:

მხარს უჭერდა ძლიერს და იცავდა სუსტს. ამ განწყობით ცხოვრობს დღეს დემოკრატიული მსოფლიო, რომელიც ხშირად ჩვენ გვასწავლის იმას, რაც ჩვენს მეფეს, ჩვენს სახელმწიფოებრიობას საუკუნეების სიღრმეში ჰქონდა.

სწორედ ამ დიდი მიზნებისათვის ვქმნით „თავისუფლების სახლს“ და ტელევიზიას, რომლის სახელწოდებაშიც დომინანტი იქნება სიტყვა „ქართული“. ჩვენ ვქმნით „თავისუფლების სახლს“ და ტელევიზიას ქართული ცნობიერებით და ქართული ტოლერანტობით. ისტორიულად ქართული ცნობიერება სრულ თანხმობაშია ზოგადკაცობრიულთან.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ დამანგრეველია ურაპატრიოტიზმიც და კოსმოპოლიტიზმიც. საქართველოსათვის ქართული ცნობიერება და ქართული ტოლერანტობა ნიშნავს პლანეტარულ აზროვნებას.

ჩვენ გამოკვეთილად და ხმამაღლა ვამბობთ, რომ **გარე სამყაროსთან საქართველოს ურთიერთობას სამი საყრდენი აქვს: ქართული ცნობიერება, ინტელექტი და ბიზნესი.** თავისუფალია და მომავალი აქვს იმ ქვეყანას, სადაც მეწარმეა თავისუფალი, სადაც ბიზნესია თავისუფალი და სადაც მეწარმე ზნეობით ცხოვრობს და აქვს ეროვნული ცნობიერება. სწორედ ამ განწყობით ვიწყებთ ფიქრს, ოცნებას და რეალურ მოქმედებებს „თავისუფლების სახლისა“ და ქართული ტელევიზიის შექმნისათვის.

„თავსუფლების სახლი“ - ქართული ტელევიზია - ეს იქნება დიდი კონგლომერატი, რომელიც სამი წლის განმავლობაში ეტაპობრივად გააერთიანებს:

- **სახელმწიფო კაცების საკრებულოს;**
- **საზოგადოებრივ პარლამენტს;**
- **„თავისუფალი აზრის სახლს“;**
- **ეროვნული იდეოლოგიის ცენტრს;**
- **მოძრაობას „მშვიდობიანი კავკასია“;**
- **„ქართულ-ოსურ“ და „ქართულ-აფხაზურ“ მისიებს;**
- **სტრატეგიული კვლევის ცენტრს;**
- **მეცნიერთა სადისკუსიო დარბაზს;**
- **მედიაჰოლდინგს „თავისუფლების სახლი“;**
- **ქართული დემოკრატიის მუზეუმს;**
- **ხალხის სასამართლოს (პროექტი - „ხალხი ასამართლებს ხელისუფლებას“);**
- **ქართულ ჰაიდ-პარკს;**
- **დოკუმენტური ფილმების სტუდიას.**

მეცნიერთა დიდი ჯგუფის კონკრეტულ ქმედებათა შედეგად დღეს რეალურად არსებობს ტელეკომპანია „ქართული“ საერთო მაუწყებლობის ათწლიანი ლიცენზიით, სატელიტური მაუწყებლობით (turksat 11472MHz, S/R23450, Poll:H, FEC516) სრულიად ევროპაზე პორტუგალიიდან - ურალამდე. (დეკემბერში დასრულდება ჩართვა საქართველოში მოქმედ ძირითად საკაბელო ტელევიზიებში). მიმდინარეობს მუშაობა სატელიტურ გადამცემ „ასტრა“ - სთან, რათა მაუწყებლობა გავრცელდეს მთელს მსოფლიოზე. რადგან, ერთის მხრივ გაჭირვებამ და მეორეს მხრივ ჩვენი ხალხის ნიჭმა და ინტელექტმა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში აღმოაჩინა მილიონნახევარზე მეტი ქართველი და საქართველოს მოქალაქე.

თავისუფალია და მომავალი აქვს იმ ქვეყანას, სადაც მეწარმეა თავისუფალი, სადაც ბიზნესია თავისუფალი და სადაც მეწარმე ზნეობით ცხოვრობს და აქვს ეროვნული ცნობიერება.

პრინციპული მნიშვნელობა აქვს მათთან დიალოგის შენარჩუნებას, მათ ინფორმირებას საქართველოში მიმდინარე პროცესებზე.

კიდევ ერთი და გამორჩეული: „თავისუფლების სახლი“, ტელევიზია „ქართული“ განთავსებულია იმ უნიკალურ სახლსა და ეზო-გარემოში, სადაც გერმანელებმა გასული საუკუნის დასაწყისში შექმნეს პირველი ქართული რადიო - ეს იყო კავკასიაში პირველი რადიო. სასიამოვნოა, რომ ეს სახლი შენარჩუნებულია ზუსტად ისე, როგორც ეს ერთ საუკუნეზე მეტი ხნის წინ იქნა აგებული.

ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲗ: პრაქტიკულად **ეს იქნება „თავისუფლების სახლი“ და ტელევიზია ძირითადში ორიენტირებული კულტურაზე ამ ცნების ფართო გაგებით:** დაწყებული ყოფითი და პოლიტიკურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა კულტურით დამთავრებული საქართველოში მცხოვრები ყველა სოციალური ფენისა და ეთნოსის ურთიერთობის კულტურით; ისტორიით, ტრადიციებით, რელიგიით, მეცნიერებით, განათლებით, მედიცინით, სპორტით;

ეს იქნება ინოვაციურ აზროვნებაზე ორიენტირებული ტელევიზია და „თავისუფლების სახლი“, რომლის ერთი მაგალითიც გახლავთ მასთან ჰარვარდის კურსდამთავრებულთა მოძრაობის შექმნა და მეორე - ამერიკელ მეცნიერთა დიდი ჯგუფის მიერ დაწყებული და უკრაინელ მეცნიერთა მიერ მხარდაჭერილი „რეპუტაციის ინსტიტუტის“ ჩამოყალიბება - დღეს დამკვიდრებული იაფფასიანი იმიჯის ინსტიტუტის სანაცვლოდ.

ეს იქნება ტელევიზია, რომლის მეშვეობითაც საქართველოს მოსახლეობა, ქვეყნის გარეთ მცხოვრები ჩვენი მოქალაქეები და მეგობრები გაცილებით მეტად მოუსმენენ ხალხს, მეცნიერებს, მოღვაწეებს, მოაზროვნე ადამიანებს, ვიდრე პოლიტიკოსებსა და ექსპერტებს... გაცილებით მეტს გაიგებენ რეალურ ყოფასა და ცხოვრებაზე ქვეყანაში... გაცილებით მეტად გაიცნობენ რეალურ ამერიკას, რეალურ ევროპას, ვიდრე ამას აქამდე სახელმწიფო მოხელეები და პოლიტიკოსები წარმოგვიდგენდნენ: ერთნი აფეტიშებდნენ, მეორენი უარყოფდნენ. რეალური სულ სხვაა და ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანი. საქმიანობის ამ მიმართულებას გააძლიერებს ამოქმედება პროექტისა „საქართველოს ემიგრაციის ცხოვრება და მოღვაწეობა“.

დავიწყეთ რა ეს ეროვნულ საქმე, თავშივე შევთანხმდით, რომ როგორც მართვის მექანიზმი, ასევე საფინანსო სისტემა იქნება დემოკრატიული. სწორედ ამ მიზნებისათვის იქმნება „მეგობართა დარბაზი“ (შემდგომში „დარბაზი“).

ჩვენ ვქმნით ეროვნული და აქედან გამომდინარე, სახელმწიფოებრივი აზროვნების განწყობის ტელევიზიას ქართველ მამულიშვილთა მონაწილეობითა და დაფინანსებით. ... ტელევიზია, რომლის უკანაც არ იქნებიან კონკრეტული პიროვნებები და პოლიტიკური ძალები, ვიქნებით ყველანი ერთად - მეგობართა დარბაზის სახით

აშკარაა, რომ მდგომარეობა ქვეყანაში იმაზე უარესია, ვიდრე გვგონია და ასეთ დროს ეროვნული, სახელმწიფოებრივი განწყობის მოძრაობის დაწყებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მომავლის საქართველოსათვის. დღეს რაც არ გვაკლია საქართველოში, პირიქით, დამანგრეველად ბევრია, - ეს არის ქვეყნის გარე ძალთა მსახური პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები, პოლიტიკოსები, საინფორმაციო საშუალებები... რაც არნახულად გვაკლია, ეს არის ქართული განწყობის, სახელმწიფოებრივი აზროვნების ორგანიზაციები, საინფორმაციო საშუალებები. პირველთ არნახულად აფინანსებენ გარედან, მეორენი კი, რომელნიც სასიცოცხლო არიან საქართველოსათვის, სულს ღაფავენ.

„დარბაზი“ დაფიქრებულ მოქმედებაზე ორიენტირებული ერთობაა, რომელსაც ქვეყანაზე მოფიქრალი ყოველი ადამიანის რეალური თანადგომის იმედი აქვს. შეიძლება ბევრ რამეზე განსხვავებული მოსაზრებები გვქონდეს, მაგრამ საქართველოსათვის სიყვარულით ერთობა რომ გვჭირდება, ვფიქრობთ ეს არავისთვის საკამათო არ არის. სწორედ ამიტომ გამოვიტანეთ ჩვენი ერთობის მთავარ პრინციპად საუკუნეების სიღრმიდან მომავალი სიბრძნე:

„მთავარში ერთობა, სადაოში - თავისუფლება, მაგრამ ყველაფერში სიყვარული!“

მართლაც, ბიბლიური სიბრძნეა.

მოქმედება კი დაწყებულია და მას განსაკუთრებულ მასშტაბს სწორედ დარბაზის შექმნით ვაძლევთ.

I. დარბაზი. დარბაზის წევრობა. დარბაზის წევრთა უფლება-მოვალეობანი.

• **დარბაზი არის „თავისუფლების სახლის“ მართვის უმაღლესი ორგანო, რომელიც სამი წლის განმავლობაში, ვიდრე ღია საქციო საზოგადოებამდე ხდება გარანტი, რომ მისი საქმიანობა იყოს საჯარო, დემოკრატიული, ხალხის და მომავლის საქართველოს ინტერესების გამომხატველი.**

• **დარბაზის წევრი შეიძლება იყოს საქართველოსა და უცხოეთის ნებისმიერი მოქალაქე, იურიდიული და ფიზიკური პირი, რომელიც იზიარებს „თავისუფლების სახლის“ და ტელეკომპანია „ქართულის“ კონცეფციას.**

• **საინიციატივო ჯგუფი აკეთებს საჯარო განცხადებას დარბაზის შექმნის თაობაზე და ქმნის ყოველ პირობას, რომ ნებისმიერ მსურველს ჰქონდეს მასში გაერთიანების შესაძლებლობა.**

• **დარბაზის დაფუძნება მოხდა 8 დეკემბერს. შემდგომში ყოველი წლის დეკემბერში ტარდება დარბაზის კონგრესი, რომელიც გადაიცემა ეთერში. კონგრესზე ჯამდება გაწეული მუშაობა, განისაზღვრება შემდგომი პროგრამა.**

• **დარბაზის ყოველ წევრს აქვს ერთნაირი უფლება -მოვალეობანი.**

დარბაზის წევრს აქვს უფლება:

- მონაწილეობა მიიღოს პროგრამების შედგენა - განხორციელებაში;

- მისთვის სასურველ ნებისმიერ დღეს, ნებისმიერ თემაზე გააკეთოს ერთწუთიანი განცხადება ტელევიზიით, გამოაქვეყნოს მისი პოზიციის გამომხატველი მასალები „თავისუფლების სახლის“ ბეჭდურ გამოცემებში, ვებ. გვერდებზე (ტელევიზიით განცხადების პერიოდულობა: დარბაზის 500 - წევრამდე პირობებში - თვეში ხუთჯერ, 500-დან - 1000 წევრამდე პირობებში - თვეში სამჯერ, 1000 წევრს ზემოთ - თვეში ორჯერ. განცხადების გაკეთების რაოდენობრივი შესაძლებლობა თვიდან თვეში არ გადადის);

- წელიწადში ერთხელ გამოიყენოს ტელევიზიის დრო მისთვის სასურველი ნებისმიერი გადაცემისთვის (დარბაზის 500- წევრამდე პირობებში - წელიწადში ერთი საათი, 500-დან - 1000 წევრამდე პირობებში - წელიწადში 40 წუთი, 1000 წევრს ზემოთ - წელიწადში 30 წუთი). ტელევიზიის პროგრამაში პერსონიფიცირებულად გვარის ჩვენებით იქნება დაკონკრეტებული დრო (მაგალითისათვის: „ მანანა ორბელიანის დრო“);

დარბაზის წევრი ვალდებულია:

- მონაწილეობა მიიღოს დარბაზისა და მისი ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულებაში;

- მატერიალურ - ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერა გაუწიოს ““თავისუფლების სახლსა“ და ტელეკომპანია „ქართულს“ ;

- ყოველი წლის დასაწყისში გადაიხადოს საწევრო მინიმუმ 200 ლარის (ან შესაბამისი თანხა ნებისმიერ ვალუტაში) ოდენობით (პიროვნება, ან პირთა ჯგუფი იურიდიული პირი, რომელიც ტელევიზიის განვითარებისათვის სამი წლის განმავლობაში შეიტანს თანხას 2000 , ან მის ჯერად თანხას, ხდება ყოველ 2000 ლარზე ერთი ლოტის მფლობელი 2000 აქციით);

რეალური კოლონიზატორი მეგობრის როლში და მოჩვენებითი ბელადი - მხსნელის, ეს არის ქვეყნის ორი დიდი პრობლემა: ბრძოლა საკუთარი ისტორიის, სახელმწიფოებრიობის, ქართული ცნობიერებისა და ზოგადსაკაცობრიო დემოკრატიულ ღირებულებათა წინააღმდეგ.

- წლის განმავლობაში დარბაზის წევრობისათვის რეკომენდაცია გაუწიოს თორმეტ კაცს (სასურველია თვეში ერთს);

- იზრუნოს სატელევიზიო და სხვა პროგრამების სპონსორთა მოძიება - მოზიდვისათვის. აღნიშნული თანხის თემატური მიზნობრივი განკარგვა მოხდება მომძიებლის სურვილის გათვალისწინებით, კონკრეტულ მოლაპარაკებათა საფუძველზე;

- მსოფლიოს ცნობილ მედია-ორგანიზაციებთან ურთიერთობის ყოველი შემთხვევა გამოიყენოს ტელეკომპანია „ქართული“-ს ინტერესებისათვის.

I I. მართვის სისტემა:

• **დარბაზი ირჩევს თავმჯდომარეს, 21 თანათავმჯდომარეს და, საჭიროების შემთვევაში, საპატიო თავმჯდომარეებს. სასურველია თანათავმჯდომარეები იყვნენ სხვადასხვა პროფესიის საქვეყნოდ ცნობილი ადამიანები, რომელთა ეროვნულობასა და ზოგადსაკაცობრიო იდეალებისადმი ერთგულებაში საზოგადოების აბსოლუტურ უმრავლესობაში სრული თანხმობაა.**

თავმჯდომარისა და თანათავმჯდომარეების ერთობა წარმოადგენს დარბაზის ხელმძღვანელ ორგანოს..

• **თავმჯდომარე და თანათავმჯდომარეები წარმოადგენენ „თავისუფლების სახლს“ და ტელეკომპანიას სხვადასხვა ორგანიზაციებში როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ.**

• **თანათავმჯდომარეთა ინსტიტუტი ანგარიშვალდებულია დარბაზის წინაშე.**

• **თანათავმჯდომარეთა ინსტიტუტი სამი წლის განმავლობაში (ვიდრე შესაძლო სააქციო საზოგადოებამდე) განაგებს ტელევიზიის სრულ პაკეტს და მასთან დაკავშირებულ ყველა გადაწყვეტილებას იღებს სრული კონსენსუსის პირობებში.**

• **თანათავმჯდომარეთა ინსტიტუტი განსაზღვრავს „თავისუფლების სახლის“ სტრუქტურას, თითოეული სტრუქტურული დანაყოფის დებულებას, ნიშნავს მათ ხელმძღვანელებს.**

• **თანათავმჯდომარეთა ინსტიტუტი მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების ორგანიზაციის და კონტროლის მიზნით ამტკიცებს აღმასრულებელ საბჭოს, რომელსაც ხელმძღვანელობს ერთ-ერთი თანათავმჯდომარე.**

• **თანათავმჯდომარეთა ინსტიტუტი ტელევიზიის მაღალპროფესიონალური და დემოკრატიული ფუნქციონირებისათვის ამტკიცებს მრჩეველთა საბჭოს და ამ უკანასკნელის რეკომენდაციით გენერალურ დირექტორს (მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე და ტელეკომპანია „ქართულის“ გენერალური დირექტორი არ შეიძლება იყვნენ იმავდროულად თანათავმჯდომარეები).**

• **თანათავმჯდომარეთა ინსტიტუტის სხდომები ტარდება აუცილებლობის მიხედვით, მაგრამ თვეში არანაკლებ ერთისა. სხდომა, როგორც წესი, გადაიცემა ტელევიზიის ეთერით, თუ ხმათა უმრავლესობით თავად არ მიიღებენ სხვა გადაწყვეტილებას.**

• **თანათავმჯდომარეთა ინსტიტუტი ორგანიზებას უკეთებს დარბაზის წევრთა ყოველთვიურ შეხვედრებს საქმიან სადილზე.**

• **თანათავმჯდომარეთა ინსტიტუტი ყოველწლიური შედეგების მიხედვით აკეთებს შესაბამის ფინანსურ დასკვნას, რომლის შედეგებიც გათვალისწინებულ უნდა იქნას სამი წლის მანძილზე სააქციო საზოგადოებად მისი გარდაქმნის პროცესში.**

• **თანათავმჯდომარეთა ინსტიტუტი**

ადგენს პროგრამას, რომლის მიხედვითაც სამი წლის განმავლობაში ტელეკომპანია „ქართული“ შეიძლება გადაიქცეს საქციო საზოგადოებად. ამ შემთხვევაში მისი ფუნქცია ამოწურულად ჩაითვლება და საქციო საზოგადოება გადავა მართვაში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

III. საფინანსო სისტემა: ტელევიზიის ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის საჭიროა საბიუჯეტო საჭირო თანხები, ფინანსური უზრუნველყოფა.

• ტელევიზიის სასურველ დონეზე ფუნქციონირებისათვის ყოველთვიურად საჭიროა 80 ათასი ლარი:

- 30 ათასი ლარი (17 700 დოლარი):“თურქსატისათვის“; სატელიტური მაუწყებლობის გადასახადი
- 10 ათასი ლარი: კომუნალური, სატრანსპორტო, საკომუნიკაციო, საიჯარო და სხვა გადასახადები;
- 30 ათასი ლარი: აუცილებელი პროგრამებისათვის;
- 10 ათასი ლარი: ტელევიზიის მომსახურე პერსონალის ხელფასები.

• ტელევიზიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისათვის იმ პირობით, რომ ტელევიზია გადავიდეს ციფრულ მაუწყებლობაზე და სამი წლის შემდეგ ჰქონდეს იმ დროისათვის შესაბამისი უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ბაზა, საჭიროა მინიმუმ 3 მილიონი ლარი, სასურველია 5 მილიონი და მეტი.

• ეტაპობრივად რომ მოხდეს დაგეგმილი პროგრამების (დანართი თან ერთვის) რეალიზება - მინიმუმ 3.0 მილიონი ლარი, სასურველია - 6.0 მილიონი.

ფინანსური უზრუნველყოფა.

• ტელევიზიის მეგობართა დარბაზის საწევრო შემონატანები სამი წლის მანძილზე იქნება როგორც მინიმუმ 2,0 მლნ. ლარი და რეალურია იყოს 3.0 მლნ. ლარი.

- 2013 წლის 23 ნოემბრიდან 2014 წლის 1 თებერვლამდე გაწეული მუშაობიდან გამომდინარე 500-მდე დამფუძნებლის მიერ შემოტანილი იქნება 100 ათას ლარამდე.
- 2014 წელს - 1,0 მლნ. ლარი, შესაძლებელია - 2.0 მლნ ლარი;
- 2015 წელს - 2,0 მლნ. ლარი, შესაძლებელია - 4.0 მლნ ლარი.

• რეალური გათვლებიდან გამომდინარე, სამი წლის შემდგომ, „თავისუფლების სახლისა“ და ტელეკომპანია „ქართული“ თვითღირებულება იქნება 6 მლნ. ლარი. შესაძლებელია იგი დაიყოს 3 000 ლოტად, თითოეული 2000 აქციით და ღირებულებით - 2 000 ლარი. შემოსული თანხების მოცულობა საბარაუდოდ იქნება 6 მილიონამდე.

• პროგრამების დაფინანსებისათვის (მათ შორის გრანტებით) რეალურია - 0,7 მლნ. ლარის და შესაძლებელია - 1.5 მლნ. ლარის მობილიზება.

• სარეკლამო საქმიანობით შესაძლებელია რეალურია 0,5 მლნ ლარამდე, შესაძლებელია – 2.0 მლნ. ლარამდე მოზიდვა.

• შემოწირულობებით რეალურია - 0,5 მლნ. ლარამდე, შესაძლებელია 1.0 მლნ ლარამდე თანხის მობილიზება.

• საგამომცემლო საქმიანობით რეალურია 0.2 მლნ. ლარის, შესაძლებელია – 1.0 მლნ. ლარის მობილიზება.

• სხვადასხვა პროგრამებში პარტნიორული მონაწილეობით შესაძლებელია მინიმუმ 1.0 მლნ. ლარის მობილიზება.

P.S. თანხების გადარიცხვა:

პირველი ვარიანტი - ყველა თანხა პირდაპირ ირიცხება ტელევიზიის ანგარიშზე.

ჩვენ ვქმნით ეროვნული და აქედან გამომდინარე, სახელმწიფოებრივი აზროვნების განწყობის ტელევიზიას ქართველ მამულიშვილთა მონაწილეობითა და დაფინანსებით.

მეორე ვარიანტი - თანხების მობილიზება ხდება მხარდაჭერის ფონდში, რომელსაც განკარგავს დარბაზის ხელმძღვანელი ორგანო.

ბოლოთქმა

საინიციატივო ჯგუფი გთავაზობთ ამ დოკუმენტს დათანხმებისა და მოქმედების დაწყებისათვის.

ქვეყანა სიკეთეზე და კეთილ ადამიანებზე დგას. ამ დიდ საქმეს არაერთი გამოუჩნდება, ვინც მილიონით შეეწევა. დალხინებული არავინ ვართ, მაგრამ წესდებით განსაზღვრულ 200 ლარს უამრავი ადამიანი შესწირავს. ეს პროცესი დაწყებულია.

ჩვენ გვაქვს და მომავალშიც გვექნება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია მეორის დიდი მხარდაჭერა. კარგი და სწორი იყო გადაწყვეტილება, რომ ტელევიზიამ თავისი პირველი პირდაპირი მაუწყებლობა სვეტიცხოვლობით დაიწყო. მე ამის თაობაზე საგანგებო წერილი გავუგზავნე პატრიარქს და სწორედ მან დალოცა სვეტიცხოვლის საკურთხეველში ტელეკომპანია „ქართული“, ეს ჩვენი დიდი ეროვნული წამოწყება. ჩვენ მხარს გვიჭერენ სხვადასხვა კონფესიების წარმომადგენლები.

ვფიქრობ, ჩვენ დიპლომატიური კორპუსის და უცხოეთის მისიების დიდი მხარდაჭერაც გვექნება.

არ ვეჭვობ, რომ ჩვენ შევძლებთ საქმიან ურთიერთობებს საქართველოს ხელისუფლებასთან. როგორც პრეზიდენტთან, მთავრობის მეთაურთან, მთავრობასთან საერთოდ, პარლამენტთან და სასამართლოსთან, პოლიტიკურ პარტიებთან.

ჩვენ გვაქვს სურვილი, განსაკუთრებული ურთიერთობები გვქონდეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან, გელათის მეცნიერებათა აკადემიასთან, აკადემიებთან საერთოდ, შემოქმედებით კავშირებთან, დედა - უნივერსიტეტთან და, ზოგადად, უმაღლეს სასწავლებლებთან. მეგობრული ურთიერთობები გვექნება მედიის საშუალებებთან.

გვინდა ვიფიქროთ, რომ სამოქალაქო სექტორში გადასული ბატონი ბიძინა ივანიშვილიც ჩვენთან ერთად იქნება, იმის გამო, რომ რასაც ჩვენ ვქმნით, ეს არის ის, რაზეც ბატონი ბიძინა ოცნებობს და რის გამოც დასტოვა პრემიერ-მინისტრის პოსტი და ხელისუფლებაზე ხალხის კონტროლის დიდი საზოგადოებრივი მოძრაობის ინიციატორი გახდა.

ჩვენი მიზანიც ეს არის. სწორედ ეს ჩავწერეთ 2006 წლის 13 ივნისის დეკლარაციაში, რომელსაც „შერატონ მეტეხი პალასში“ ბევრმა ჩვენგანმა - 1000-ზე მეტმა მეცნიერმა, კულტურის, განათლების, მედიცინის, სპორტის მოღვაწემ და თითქმის ყველა პოლიტიკურმა პარტიამ (ნაციონალური მოძრაობის“ გარდა) მოაწერა ხელი.

მაშინ ითქვა: “ჩვენ დავნერგავთ პრინციპს: ქვეყანას მართავს დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლება – ხელისუფლებას მართავს საზოგადოება – საზოგადოებას მართავს ინტელექტი და ზნეობა.“

ძნელი გახდა ამის გაკეთება. მიზეზები ყველამ ვიცით. 2012 წლის 1 ოქტომბერმა რეალური გახადა ბრძოლა ამ პრინციპის დანერგვისათვის.

ჩვენ ვერთიანდებით და ვიწყებთ დიდ მოძრაობას საქართველოში ადამიანური ცხოვრებისათვის. დღემდე ქართული ყოფისათვის შემარცხვენელი და დამთრგუნველი - ბრძოლა არსებობისათვის უნდა დასრულდეს და ყოველ ადამიანს მიეცეს საშუალება საკუთარი თავის, საკუთარი ნიჭის რეალიზაციის. ეს დიდი საქართველო იქნება. ღირს ბრძოლა და თავგანწირვა ამისათვის.

ჩვენ ვიწყებთ!

მოლოცვები

მამულიშვილური სიყვარულით და ღრმა პატივისცემით მივესალმები შორეული გერმანიიდან „თავისუფლების სახლის“ და ტელევიზია „ქართულის“ დაფუძნებას. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამ დიდ საქმეს ისეთი ადამიანები უდგანან სათავეში, რომ მხოლოდ გამარჯვება უწერია.

მე, როგორც ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მეგობარსა და თანამოაზრეს, თითქმის 20 წელია გერმანიაში მცხოვრებს, ძალიან მეამაყება, რომ „თავისუფლების სახლი“ და ტელეკომპანია „ქართული“ სწორედ იმ შენობაშია, რომელიც გერმანელებმა ააშენეს გასული საუკუნის დასაწყისში და სადაც ჯერ კიდევ 100 წლის წინ - გასაბჭოებამდე, იყო განთავსებული ქართული რადიო. ისიც ნიშანდობლივია, რომ გერმანელებმა კავკასიაში პირველად სწორედ საქართველოში ააშენეს რადიოსახლი.

მივესალმები ბატონ რეზო ჩხეიძეს, ვულოცავ ამ დღეს. კარგი ნათქვამია - პატივგების დღეს. თქვენ ეს დაიმსახურეთ, ბატონო რეზო, გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს საქართველოს საკეთილდღეოდ.

ჩემთვის დიდი პატივია, ვიყო „თავისუფლების სახლის“ და ტელეკომპანია „ქართულის“ „მეგობართა დარბაზის“ სრულუფლებიანი წევრი.

თქვენთან ვარ! გავიმარჯვოთ საქართველოსათვის!

პატივისცემით,

შალვა ფიკლაური, -
ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის თანათავმჯდომარე.
გერმანია,
06.12.2013წ.

ასეთივე განწყობის წერილები მივიღეთ:

- ბატონ ზურაბ წერეთლისაგან - მოსკოვიდან,
- ბატონების, გია სიგუასა და შალვა აბაშიძისაგან - კიევიდან,
- ბატონ თენგიზ დუმბაძისგან - მინსკიდან,
- ბატონ მანუჩარ კაჭახიძისაგან - ნიუ-იორკიდან,
- ქალბატონ ნათელა მოდებაძისაგან - ბელფასტიდან,
- ბატონ გოჩა კელენჯერიძასაგან - მადრიდიდან,
- ბატონ ელგუჯა მინაძისგან - სალონიკიდან.

მართლაც, ჩვენ, ქართველებს, აფხაზებს, ოსებს არ გვაქვს დიდი მომავალი ერთმანეთის გარეშე. ამის დასტურია ჩვენი ოსი მეგობრების ალექსანდრე ძასოხოვის, ფელიქს სანაკოევის, გოჩა ძასოხოვისა და სერგო სანაკოევის, ასევე ჩვენი აფხაზი მეგობრის კონსტანტინე სალიას შემოხმიანება გერმანიიდან, ის კეთილი განწყობა, რომელიც მათ ბატონი რეზო ჩხეიძის მიმართ გამოხატეს.

მოსკოვის ლომონოსოვის უნივერსიტეტის ქართველ პროფესორ-მასწავლებელთა სახელით ბატონ რეზო ჩხეიძეს დაბადების დღეს ულოცავს და „თავისუფლების სახლისა“ ტელეკომპანია „ქართულის“ დაფუძნებას მიესალმება უნივერსიტეტის კულტურის ცენტრის ხელმძღვანელი გოჩა ნანიტაშვილი.

თბილზე თბილი მილოცვა მივიღეთ მოსკოვის ქართული სკოლის დირექტორისაგან, ქალბატონ ანა კერესელიძისაგან.

12-მდე ქვეყნის ქართულმა სათვისტომოებმა მოგვილოცეს ევროპიდან და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან. დიდი მადლობა ყველას... ასე ვძლიერდებით... 8 თებერვალს - დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს და დედა-უნივერსიტეტის დაფუძნების დღეს დანიშნულ „მეგობართა დარბაზის“ დიდ კონგრესზე ბევრნი ვიქნებით.

თანადგომა

გაზეთ „ასავალ-დასავალის“ 2-8 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებულ ბატონ რეზო ჩხეიძის წერილს უამრავი კეთილი განწყობის, თანადგომის კონკრეტული შემოხმიანება მოჰყვა.

უდიდესი კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ მივიღეთ დიდი თანადგომა სამეფო სახლისაგან, მისი მეთაურის ბატონიშვილ ნუგზარ ბაგრატიონისაგან და სამეფო სახლის კანცლერ კახა ქორიძისაგან.

მადლიერებით ვამბობთ, რომ კინორეჟისორებმა: რეზო ჩხეიძემ, რეზო ესაძემ, გოგი ლევაშოვ-თუმანიშვილმა თავიანთი ფილმების ჩვენების უფლება გადმოქვცეს... ასეთივე დიდსულოვანი თანადგომა აღმოგვიჩინა აწ განსვენებულმა გიგა ლორთქიფანიძემ.

სასიამოვნოა, რომ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა უკვე გააფორმა დიდი ხელშეკრულება... რომ აზერბაიჯანული კომპანია „სოკარი“ ფიქრობს ტელევიზიით ქართული ფილმების ჩვენების დაფინანსებას... ხელშეკრულება გააფორმა დიაბეტის კვლევის ევროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა პროფესორმა რამაზ ყურაშვილმა.

ეს დასაწყისია თანადგომის ეს პროცესი ძალას სულ უფრო და უფრო იკრებს.

დარბაზის წევრობის მსურველთა რაოდენობაც დღითი-დღე იზრდება. სასიამოვნოა, რომ უკვე შემოვიდა 30-ზე მეტი კონკრეტული წინადადება რომელთა ავტორები თანადგომას უცხადებენ არა მარტო „თავისუფლების სახლს“ და ტელეკომპანია „ქართულს“, არამედ გვთავაზობენ კონკრეტულ წინადადებებს დარბაზის წევრებთან დაკავშირებით. კონკრეტულად იმას, რომ დარბაზის წევრებს ექნებათ სოლიდური შეღავათები ცალკეულ კერძო კლინიკებში, სასტუმროებში, რესტორნებში, საზღვარგარეთ მომსახურეობისას.

საინიციატივო ჯგუფი მადლიერებას გამოხატავს ყველა ასეთი წინადადების ავტორთა მიმართ და კონგრესს 2014 წლის 8 თებერვალს წარუდგენს შეთანხმებათა კონკრეტულ პროექტებს.

გ ა დ ა ც ე მ ე ბ ი

1. საინფორმაციო გადაცემები - კეთდება ევრონიუსის სტილში - ყოველ 2 საათში 14:00-დან;
2. ქართული ჰაიდ-პარკი - კვირაში ერთხელ;
3. რჩევები პრემიერ-მინისტრს ვერის ბაღიდან - კვირაში ერთხელ;
4. გადაცემათა ციკლი: „საქართველო ჩემი ოჯახია“;
5. გადაცემათა ციკლი: საქართველოში ადამიანურ ურთიერთობათა ტრადიციული ინსტიტუტების ფესვები და დღევანდელობა (ოჯახი, სამეზობლო, სანათესაო, ნათელ-მირონობა, სამეგობრო, უფროსი თაობისადმი პატივისცემა, წინაპართა და გარდაცვლილთა პატივგება, ქალისა და ბავშვის კულტი, ქართული სუფრა, სტუმარ-მასპინძლობის კულტურა);
6. გადაცემათა ციკლი: „ერთიანი საქართველო“ - გადაცემები საქართველოს ყველა კუთხეზე, ყველა ქალაქსა და რაიონზე;
7. პროექტი: ჩვენი გზა დავით აღმაშენებლის გზაა. მისი მიზანია აჩვენოს ჩვენი დიდი ისტორია, ქართული სახელმწიფოებრიობის დემოკრატიული ბუნება, რომ საქართველოს მომავალი თავისუფალი ადამიანია და თავისუფალ ადამიანთა ერთობას სასწაულის მოხდენა შეუძლია;
8. საავტორო გადაცემები - ყოველ დღე;
9. აქტუალური იტერვიუ: „იძნებ თქვენ მეტი იცით“;
10. ყოველ საღამოს, სხვადასხვა ჟურნალისტის ორგანიზებით - „ჯანსაღი საუბარი“ - 2014 წლიდან;
11. დევნილთა სატელევიზიო სათათბირო - 2014 წლიდან, კვირაში ერთხელ.
12. ურბანული პრობლემები - არქიტექტორთა დისკუსია - თვეში ორჯერ.
13. გადაცემა გარემოს დაცვის პრობლემებზე „გულში დაჭრილი ბუნება - თვეში ორჯერ 2014 წლიდან.
14. სპორტული გადაცემები - კვირაში ერთხელ.
15. დემოგრაფია - თვეში ორჯერ.
16. პოლიტიკური თოქ-შოუ „თანასწორი საუბარი“.
17. ინტელექტუალური ბიზნესი - კვირაში ერთხელ.
18. საგარეო პოლიტიკა - კვირაში ერთხელ.
19. სამართალი - სამართლიანობა - კვირაში ერთხელ.
20. ლიტერატურა, ხელოვნება - კვირაში ერთხელ.
21. კვების პროდუქტები (რით ვიკვებებით) - თვეში ორჯერ.
22. ქართული ენა - კვირაში ერთხელ.
23. ცნობილი ადამიანების მოსაზრებები: “ სამშობლოში“ - კვირაში ორჯერ.
24. გადაცემა: „ფიქრი ამოძრავებული მომავალია“ - კვირაში ერთხელ.
25. საავტორო გადაცემა „ბიზნესი ოჯახურ ინტერიერში“;
26. ემიგრანტთა განწყობა - გადაძახილი მომავლის საქართველოსათვის - 2014 წლიდან კვირაში ერთხელ.
27. დღის ტყუილი... დღის ანეკდოტი... დღის ყველაზე კარგი ამბავი...
28. ბაღის კიდის პარლამენტი - 2014 წლიდან კვირაში ერთხელ.
29. პოლიტიკური დუელი - 2014 წლიდან კვირაში ერთხელ.
30. სოფლის ბირჟა - 2014 წლიდან კვირაში ერთხელ.
31. ხალხი ასამართლებს ხელისუფლებას - სპეც პროგრამით 2014 წლიდან.

ინფორმაცია სამომავლო პროექტების თაობაზე:

1. მზადდება ეროვნული პროექტი - „საქართველო დაჭრილი მზეა - გაბრწყინდება“. დისკუსია პროექტის ავტორთა მონაწილეობით იწყება 8 დეკემბერს. პროექტის პრეზენტაცია მოეწყობა 2014 წლის აპრილში - აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის წინა დღეებში.
2. „თავისუფლების სახლისა“ და ტელეკომპანია „ქართულის“ მეგობართა დარბაზი გახდება 2014 წლის ბოლოს, ან 2015 წლის დასაწყისში ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის მოწვევის ერთ-ერთი ინიციატორი და ორგანიზატორი.
3. დაწყებულია მოლაპარაკება უკრაინის მედია ჯგუფთან, ბელორუსიის სახელმწიფო ტელევიზიასთან, პეტერბურგის მედია ჯგუფთან, რომ 2014 წლის პირველ ნახევარში უკრაინაში, ბელორუსიაში, პეტერბურგში მოხდეს შეხვედრა ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან. ნაჩვენები იქნას კინორეჟისორ რეზო ჩხეიძის ორი ფილმი - „ჯარისკაცის მამა“ და „ქრისტეს საფლავზე დანთებული სანთელი“.
   იგეგმება შეხვედრები საქართველოს დიასპორის წარმომადგენლებთან - საბერძნეთში, თურქეთში, იტალიაში, ესპანეთში, აზერბაიჯანსა და სომხეთში.
4. დაწყებულია ხელშეკრულებების გაფორმება ცნობილ ქართველ კინორეჟისორებთან მათი ფილმების უსასყიდლოდ გადმოცემისა და ჩვენების უფლების თაობაზე. ასეთივე პროცესი მიდის ცნობილ თეატრალურ რეჟისორებთან.
5. მიღწეულია თანხმობა რეზო თაბუკაშვილის სახელობის თეატრთან მისი სპექტაკლების ექსკლუზიური ჩვენების თაობაზე.
6. მიმდინარეობს მუშაობა პროექტ „საზოგადოებრივი პარლამენტის“ ჩამოყალიბებაზე.
7. მიმდინარეობს მუშაობა საპარლამენტთაშორისო ასამბლეის ჩამოყალიბებაზე (წინა 7 პარლამენტის 5-5 წევრის მონაწილეობით).
8. არის პროექტი „მთაწმინდის ბინადარნი“.
9. მზადდება პროექტი პირობითი სახელწოდებით „ საქართველოს უცხოეთის მთაწმინდა“ - იმ ადამიანებზე, რომლებმაც უდიდესი ღვაწლი დადეს საქართველოს და იმ ქვეყანას, სადაც მოღვაწეობდნენ და დღეს არიან დასაფლავებულნი უცხოეთში.
10. დაწყებულია პროექტი „საქართველოს ქალაქები და რაიონები“ - გადაღებულია ორი დოკუმენტური ფილმი - ბაღდადზე და თიანეთზე.
11. მიღწეულია შეთანხმება ტელევიზიასთან არსებობდეს მეცნიერთა 40-კაციანი სადისკუსიო დარბაზი, რომლის სხდომები გადაცემული იქნება პირდაპირ ეთერში.
12. მზადდება პროექტი: „პოლიტიკური რეფორმა“ . მის ავტორებს მიაჩნიათ, რომ ამ პოლიტიკური პარტიებით და ამ განწყობის პოლიტიკოსებით საქართველოს მომავალი არ აქვს.
13. გადამუშავების პროცესშია პროექტი „მხილების მუზეუმი“
14. მიმდინარეობს მუშაობა გადაცემაზე: „სამართლიანობის მანიფესტი“, ეს იქნება ფართო დისკუსია იმის თაობაზე, თუ ვის როგორ ესმის სამართლიანობა საქართველოში.
15. მიმდინარეობს მუშაობა მეცნიერთა პოპულარული ლექციების ჩვენებაზე;
16. მიმდინარეობს მოლაპარაკება უნივერსიტეტებთან და სხვადასხვა ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან ერთობლივი პროექტების მომზადება-განხორციელებაზე.
17. ამერიკაში მცხოვრები რამდენიმე ქართველი მოქალაქის, ამერიკელი ექსპერტების და ევროპის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის ყოფილი დეპუტატის მონაწილეობით მზადდება სატელევიზიო პროექტი ადამიანის უფლებათა დაცვაზე.
18. მიღწეულია შეთანხმება ცნობილ მეცნიერთან, აკადემიკოს არნოლდ გეგეჭკორთან სატელევიზიო პროექტ „საქართველოს ბუნების“ მომზადების თაობაზე.
19. გაწეული მუშაობის შედეგად 100-მდე ცნობილმა მეცნიერმა გამოთქვა სურვილი იწოდებოდეს ტელევიზიის ექსპერტად.
20. მიღებულია გადაწყვეტილება ტელევიზიასთან მრჩეველთა საბჭოს და ტელევიზიის მეგობართა დარბაზის ფორმირებაზე. როგორც ერთის, ასევე მეორის სხდომები გადაიცემა პირდაპირ ეთერში.

მეცნიერთა დიდი ჯგუფის კონკრეტულ ქმედებათა შედეგად დღეს რეალურად არსებობს ტელეკომპანია „ქართული“ საერთო მაუწყებლობის ათწლიანი ლიცენზიით, სატელიტური მაუწყებლობით (turksat 11472MHz, S/R23450, Poll:H, FEC516) სრულიად ევროპაზე, უფრო მეტიც, პორტუგალიიდან - ურალამდე. სწორედ იმ პაკეტში, სადაც საქართველოს მხოლოდ რვა ტელევიზიაა (პირველი არხი, რუსთავი - 2, იმედი, მაესტრო, აჭარის ტელევიზია, 25-ე არხი, ტვ3, ტელეკომპანია „ქართული“), ინტერნეტ და ფართო საკაბელო მაუწყებლობით სილქნეტზე, გლობალ ტვ-ზე, ბლექ სი სატზე (დეკემბერში დასრულდება ჩართვა საქართველოში მოქმედ ძირითად საკაბელო ტელევიზიებში), მაი ვიდეოზე (www.myvideo.ge). მიმდინარეობს მუშაობა სატელიტურ გადამცემ „ასტრა“ - სთან, რათა მაუწყებლობა გავრცელდეს მთელს მსოფლიოზე. ამას ჩვენთვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რადგან, ერთის მხრივ ნიჭმა და მეორეს მხრივ, გაჭირვებამ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში აღმოაჩინა მილიონნახევარზე მეტი ქართველი და საქართველოს მოქალაქე. პრინციპული მნიშვნელობა აქვს მათთან დიალოგის შენარჩუნებას, მათ ინფორმირებას საქართველოში მიმდინარე პროცესებზე.

ყველაფერი ეს შესაძლებელია ურთერთ თანადგომის, საერთო ძალისხმევის პირობებში.

ეს ყველას უნდა გვაფიქრებდეს

დღეს რაც არ გვაკლია საქართველოში, პირდაპირ ვიტყვი, დამანგრეველად ბევრია - ეს არის ქვეყნის გარე ძალთა მსახური პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები, პოლიტიკოსები, საინფორმაციო საშუალებები...
რაც არნახულად გვაკლია - ეს არის ქართული განწყობის, სახელმწიფოებრივი აზროვნების საზოგადოებრივი ორგანიზაციები, პოლიტიკური პარტიები, საინფორმაციო საშუალებები. პირველთ არნახულად აფინანსებენ გარედან, მეორენი კი, რომელნიც სასიცოცხლო არიან საქართველოსათვის, სულს ღაფავენ.

თავისუფალია და მომავალი აქვს იმ ქვეყანას, სადაც მეწარმეა თავისუფალი, სადაც ბიზნესია თავისუფალი და სადაც მეწარმე ზნეობით ცხოვრობს და აქვს ეროვნული ცნობიერება.

საბანკო ანგარიშის ნომერი: თი-ბი-სი ბანკი, მიმღების დასახელება - შპს ქართული-ტვ.
ანგარიშსწორების ანგარიში - GE42 TB71 6273 6020 1000 01.
დანიშნულება: სპონსორული დახმარება

მისამართი: ბოგდან ხმელნიცკის 48/1 (საავიაციო ქარხნამდე 200 მეტრში)

www.itetv.ge
qartuli.geotv@gmail.com
megobartadarbazi@gmail.com

კონტაქტი:
რევაზ ჩხეიძე: 599 16 72 00
თამთა ბერიაშვილი: 599 24 22 07
ტელევიზია: 2 70 74 74